დანართი N1

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხელეთა სამუშაო აღწერილობა

1. კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს;

ა) უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს „საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, სამსახურის დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას;

ბ) ხელმძღვანელობს სამსახურს, წარმართავს მის საქმიანობას და კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს სამსახურის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

გ) კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს დაქვემდებარებული სამსახურის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას და სამსახურის საქმიანობის კოორდინაციას;

დ) უზრუნველყოფს სამსახურის გამართულ მუშაობას, თანამშრომლებს შორის ანაწილებს სამსახურეობრივ ფუნქციებს და აძლევს მითითებებს წინადადებებისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე;

ე) ზედამხედველობას უწევს სამსახურის თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას;

ვ) დროულად და სრულყოფილად ასრულებს უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებებს, შესაბამის სამსახურებთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს და უზრუნველოფს მათ დანერგვას პრაქტიკულ საქმიანობაში;

ზ) პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს გამგებელს და საკრებულოს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, სამსახურის დებულებისა და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

2. **კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საკურატორო სფერო- კულტურა და სპორტი;** ა) სამსახურში ფუნქციათა განაწილების შესაბამისად პასუხს აგებს და ვალდებულია თანმიმდევრულად მოახსენოს სამსახურის უფროსს საკურატორო სფეროში ჩატარებულ და ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ;

ბ) კოორდინაციას უწევს კულტურის მუნიციპალურ პროგრამათა და ღონისძიებების განხორციელებას;

გ) უზრუნველყოფს მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო სკოლების და კულტურის დაწესებულებების აღრიცხვას;

დ) უზრუნველყოფს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თარიღების ან/და დღესასწაულების აღსანიშნავად სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარების კოორდინაციას;

ე) ხელს უწყობს ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენისა და წახალისების მიზნით შემეცნებით-გასართობი კონკურსების, ლიტერატურული საღამოების და სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

ვ) ხელმძღვანელობს, პრაქტიკულ დახმარებას უწევს და აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის მუშაობას და წარუდგენს მათი საქმიანობის შესახებ წინადადებებს და რეკომენდაციებს სამსახურის უფროსს;

ზ) წელიწადში ერთხელ სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) ასრულებს სამსახურის უფროსის და გამგებლის სხვა დავალებებს, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციების განხორციელებას;

ი) ხელმძღვანელობს, პრაქტიკულ დახმარებას უწევს და აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებული სპორტული სფეროს მუშაობას და წარუდგენს მათი საქმიანობის შესახებ წინადადებებს და რეკომენდაციებს სამსახურის უფროსს;

კ) კოორდინაციას უწევს და უზრუნველყოფს სპორტის მუნიციპალურ პროგრამათა შემუშავებას და განხორციელებას;

ლ) ახორციელებს მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას;

მ) სპორტის ტრადიციული სახეობების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და კორდინაციას უწევს ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს;

ნ) გამოითხოვს შესაბამისი ადგილობრივი სამსახურებიდან ინფორმაციას მათ ტერიტორიაზე არსებული სპორტული ობიექტების დატვირთვისა და იქ მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი პროცესის შესახებ;

ო) მონაწილეობას იღებს სპორტის სფეროში ადგილობრივი და რეგიონული დაგეგმარების პროექტების შემუშავებაში;

პ) ხელმძღვანელობს, პრაქტიკულ დახმარებას უწევს და აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებული სპორტული სფეროს მუშაობას და წარუდგენს მათი საქმიანობის შესახებ წინადადებებს და რეკომენდაციებს სამსახურის უფროსს;

ჟ) უზრუნველყოფს კულტურის, განათლების, სპორტის სამინისტროს სტრატეგიისა და პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად ახალგაზრდებში სპორტული აქტივობების დამკვიდრებისა და მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობას;

რ) წელიწადში ერთხელ სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;
ს) ასრულებს სამსახურის უფროსის და გამგებლის დავალებებს, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციების განხორციელებას;

3. კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საკურატორო სფერო- ახალგაზრდული;

ა) საქართველოს კულტურის, განათლების, სპორტის სამინისტროს პრიორიტეტების შესაბამისად, ახალგაზრდულ სფეროში ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
ბ) უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და მუნიციპალურ პროგრამების მომზადებას;
გ) შეისწავლის ახალგაზრდობის პრობლემებს და უზრუნველყოფს წინადადებების შემუშავებას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
დ) ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის, მათი პოტენციალის სრულად რეალიზებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვის მიზნით შესაბამის მუნიციპალურ პროგრამათა შემუშავება და განხორციელება;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამების მომზადებას და განხორციელებას;
ვ) შეიმუშავებს წინადადებებს და კოორდინაციას უწევს ახალგაზრდული დღეების, თამაშებისა და სხვა მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებას;
ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ახალგაზრდების დამნაშავეობის, ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების მიზნით, სახელმწიფო და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შესაბამის პროგრამებისა და წინადადებების მომზადებას და მათ განხორციელებას;
თ) მეზობელ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ერთობლივი პროგრამების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;
ი) უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების მხარდასაჭერად მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, ამ მიზნით ახალგაზრდების სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობას;
კ) წელიწადში ერთხელ წარუდგენს სამსახურის უფროსს ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) ასრულებს სამსახურის უფროსის და გამგებლის სხვა დავალებებს, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

4. **კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკურატორო სფერო- განათლება;**

ა) განათლების დარგში ხელმძღვანელობს, პრაქტიკულ დახმარებას უწევს და აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებულ განათლების სფეროს მუშაობას და წარუდგენს მათი საქმიანობის შესახებ წინადადებებს და რეკომენდაციებს სამსახურის უფროსს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებებში განათლების, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების აქტიურ ხელშეწყობას, კონტროლის დაწესებას და დახმარებას, წარუდგენს მათი საქმიანობის შესახებ წინადადებებს და რეკომენდაციებს სამსახურის უფროსს;

გ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ადგილობრივი ახალგაზრდობის ინტელექტუალური და პიროვნული პოტენციალის გამოვლენას, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი წინადადებების და პროგრამების შემუშავებას;

დ) წელიწადში ერთხელ წარუდგენს სამსახურის უფროსს ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) ახორციელებს სამსახურის უფროსის სხვა დავალებებს, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებს;

5. **კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკურატორო სფერო- ტურიზმი;**

ა) ტურიზმის დარგში ხელმძღვანელობს, პრაქტიკულ დახმარებას უწევს და აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებულ ა(ა)იპ ხელოვნების და ტურიზმის განვითარების ცენტრის და ა(ა)იპ ტურიზმის ცენტრის მუშაობას.